



სურვილი განუცხადებია საზოგადოების წევრებს. ასე, რომ საზოგადოების არსებობის არავითარი ეჭვი აღარ არის.

სამართლებლოში და ზედამხედველ კამიტეტში წევრების ამორჩევა გადასდევს პირველ კვირისათვის, 15 იანვრისთვის შემდეგ. თავისუფლომარის კანდიდატთა გამოდის სამი პირი: თ. ნ. ი. ამათუნი, მ. ძ. მელიქ-შარაკოზოვი და ი. ძ. მელიქ-შარაკოზოვი.

* *

რუსულს ვაზეთს „ზორიადკაში“ სწერენ: თბილისიდან აქ გავრცელებულია ხმები, რომ ვითომც უმაღლესი მთავრობა პეტერბურგიდან ნიშნავდეს სახელმწიფო რჩევის წევრს, ბატონს ძლუშინს ძაკაზის ყველა სამართლებლოების სარევიზიოთ. თუ რამდენად მართალია ეს, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ამ ხმებმა ერთობ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა აქაურს სამართებლოს ხალხზე და ყველა შიშით იმეორებდა ამ ამბავსაო. ახლა კი ცოტა არ იყოს ჩიწყდა მასზე მებინ და თვითონაც დარწმუნდნენ, რომ ძაკაზისაში არავითარი რევიზია არ იქმნება; ეს მით უფრო დასაჯერებელია, რომ ძლუშინი ამ რამდენიმე წლის წინეთ თავის ჩინოვნიკებით აქ ბძანდებოდაო.

* *

თბილისის დაბალი ხალხი ძალიან შეშინებულა კუდიანი ვარსკვლავისა; მრავალს ადგილებზე, ამბობენ, შერობებიც გაუჩერებიათ, ხომ მაინც უნდა დავიღუპოთო. დედაკაცები ტირიან და იძახიან, რომ ის კუდიანი ვარსკვლავი კი არ არის, ღვთის მშობელია თმა გაშლილიო, რომელიც ეხვეწება ლმერთს, რომ ნუ მოახდენ წარღვნასა და ნუ დაღუბამ ხალხსაო. ბევრს ალაგს, ბევრს ახალგაზდა კაცებს დაუწყვიათ ცხოვრების განადგურება და თ. ალ. შავჭავჭავაძის ლექსი „ლეთქო“ მოუგონიათ და იმაში გამოხატული სიტყვა წარღვნაზე.

* *

ამ მოკლე ხანში გამოვიდა სომხურს ენაზე სომხეთის ისტორია მოსე ხორენისა. ჩვენ შევიტყუეთ, რომ რამდენიმე ყმაწვილი კაცები ამ ისტორიას ქართულ ენაზე თარგმნიანო.

* *

ამ უკანასკნელს დღეებში, თბილისში ფქვილი ფუთი მანეთ ნახევრად გახდა, ქერი მანეთათა და სიმინდი სამ-ოთხ აბაზათა.

„დროების“ კორექტირება

დედოფლის შპარო, 18 ივლისს. წარაულ იენისში სოფლის მზანის მოთავემ და სხვა დავის მოყვარე კაცებმა, შემოიღეს კვირა უქმე დღის შენახვა. მაინც რომ ხელს გაიძრამს, რაც უნდა უბრალო საქმე იყოს, მიუხდებია სახლში ამორჩეული კაცები (მორბეველები) და წართმევენ ნამვალს, ცელს, ხანჯალ და სხვა რაც

ხელში მოხდებათ. ამ გამოტანის დროს ღმერთმა თქვენს მტერს მიაყენოს რაც რომ აქ ხდება, — ბევრსა სცემენ, სიკვდილის პირზედ მიაყენებენ დამნაშავეს და ბევრიც ამ შეტაკებაში იჭრება. ამისთანა შეკრულობაზედ ამ ივლისის თვეში, კვირა დღეს, ჩვიდნენ თავსწაროს ღუქანში რამოდენიმე სოფლის კაცი და იმათი მოთავე (ნაცვალი) და შეუხდნენ ტიმოთე ბარსენის შვილს ღუქანში საწყაობის გამოსაწყველათ.

ამ ქამათ მეღუქნის მამას ეჭირა ხელში ცული და ცხენის პალოს აკეთებდა, ბალახზედ დასაბმელათ. ერთმა იმათგანმა ლევან ზორკო შვილმა დაუწყო ცულის წართმევა და მამაც შეაგინა კიდეც — კვირას რათა სტენო? ეს ლაპარაკი გაიგონა მეღუქნემ და მამას მიეშველა; გაიძრათა ცემა-ტყეპა, მაგრამ სოფელთანა და ნაცვალთან რას გაიყვანდნენ მამა-შვილი; ამით წართვეს ცული და გარდახდევინეს რაც ეყოფოდათ გასაძღობათ. ლევან ზორკო შვილმა ამასაც არ დააჯერა კვირის მუშა, — 9-ს ამ ივლისს, შუადღის უკან, ის ჩაუხდა მეღუქნეს დახლში და ცემა დაუწყო კეტით. მეღუქნემ ხანჯალი იძრო და მოგერება დაიწყო კვირის მოყვარე მორბევისა. ამ შეტაკებს დროს გაჯავრებულმა მეღუქნემ მისცა ხანჯალი გულთან და იმავე მინუტს სული გააყრევინა ზორკო შვილს. აი ჩვენ სოფელში ამისთანა ცული საქმეები ხდება თითონ მოთავეთაგან, რომელთ შორის არიან ამორჩეულნი ჩხუბის მოყვარე კაცები. ნეტაი კვირა მაინც უყვარდნენ, მაგრამ ამით კვირა მაშინ მოაგონდებათ, როცა ღვინო და არაყი შინ გამოელევათ. ზამთარში, როცა ცულათ არიან, მაშინ კი არ ინახვენ კვირას და არც წირვა-ლოცვაზედ დადიან; ვინც მოდის, ი-ც მარტო ფორმის გულსთვის, ახლო აქვსთ სასოფლო ყრილობის ალაგი და მღვდელსაც აღარ აცლიან წირვის გამოყენას, ყვირიან და ლანძღვენ ერთმანეთს. რომ ამისთანა დაწყობა არა ჰქონდათ, დღესაც იქნებოდა ის კაცი ცოცხალი. იმის წინა დღესაც ერთს პატიოსან კაცს შეუხდნენ, კვირა საღამოს, — ორმოასათვის მიწა მიგიყრიო. წართვეს სათიბი ცელი და ძრიელ შეურაცყოფაც მიაყენეს. შუჯობესი იქნება ჩვენმა უხეზნის ნაჩონიკმა განიხილოს ეს საქმე და მეორეთ მაინც აღუკრძალოს სოფელი, მოთავეთ ამ გვარი განკარგულება.

ქრისტეფორე ოსავეი.

გორი, 21 ივლისს. ერთსა და იმავე საგანზე ლაპარაკი მოსაწყენია, მაგრამ, როდესაც შიგ ჩართული იქნება ცოტ-ცოტა ახალ-ახალი რამე, გაერთობა კაცი; ყველამ იცის ჩვენი საწყალი ბორის ამბავი, კარგი მღვბიარობა, კარგის სხვა-დ-სხვა წყლების სიუხვე, კარგი ჰაერი და ამისთან კარგი ქარი... სხვაგან დასიცხული კაცი აქ სულს მოიბრუნებს, მაგრამ

რა გამოვიდ? ამისთანა კარგის ბუნებით შემკულს ადგილს კარგი პატრონები რომ ჰყენდეს, მაშინ ჩვენს ქალაქს ცალი აღარ ეყოლება; რაც კი ცული რამ არის, სულ აქ იპოვება; ქუჩები ნაგვით სავე, შუა-ქალაქში ყასპების საქონლის ბაკები, ღორების ფარა, ძაღლების ჯაგი, შენობების უწყსოვება, დამახინჯება, უსწორ-მასწორობა, ქუჩების შევიწროება, ქუჩებში კობებისა და კომლის ტრუბების დატანება, ვაჭრებისაგან ხალხის გლეჯა, სიძვირის ჩამოგდება, ღამ-ღამით კინტოების ქუჩა-ქუჩა უდროოთ ზურნითა და არღანით ხეტილი და ღოთობა, რა გნებავთ რომ აქ არ იპოვებოდს?

18 ამ თვისას ერთი საწყალი ქვივი, ჩინოვნიკის ბ-ისა, გაქურდეს ღამის ათ საათზედ — როგორც ამბობენ წაუღიათ რაც რამ გააჩნდა ტანთ-საცმელი და სხვ. მამაცხადა სადაც რიგი იყო; შეადგინეს პროტოკოლი, როგორც ჩვეულება არის: „ფანჯარიდან გაუტანიათო, ნაფხურები ფანჯარასთან არა სჩანსო, არაფინ იცის ვინ იქნებოდაო, სად უნდა მოიძებნოს ქურდიო; ამისათვის ეს შემთხვევა ღვთის ნებას მისჩემდესო“ და ამითი გაათავეს საქმე.

19-ს ამ თვისასვე, საღამოს დროს, აქაურის შაზარაშვილის სახლში შეესმა მახლობლად მდგომს სახლობით ქანდარმს ერთი ალიაქოთი, შეიხდდა ქანდარმმა, დაინახა ბაღლო შაზარაშვილი, რომ ხანჯალს ატრიალებს გაჭირვებულზედ და რომ განაიძლოს უბედური შემთხვევა, ქანდარმი წავიდა პოლიციის ჩინოვნიკის საძებნელად; ის ვერ უპოვინა, შეხვედრია დესტეხიკი პეტრე ომაშვილი და უამბინა ეს ამბავი; ამასაც ძებნა დაუწყვია ჩინოვნიკისა, მაგრამ, როდესაც ვერ უპოვინა, უფიქრია, რომ ძებნა დააგვიანებდა და რომ არა მოეხდინარა შაზარაშვილს, მიუშურებია იმის სახლში, შესულა დასამშვიდებლად გაჭირვებულზედისა, მაგრამ დამშვიდების ნაცვლად ომაშვილს ოთხი თუ ხუთი მძიმე ჭრილობა მიუღია, ასე რომ მეორე დღეს მოკვდა და დამკრული კი ფაიტონით ქუჩა-ქუჩა დაბრძანდებოდა.

ომაშვილმა დასტოვა ობლად და უღონის-ძიებოთ ცოლ-შვილი, რომელსაც 30 წელიწადი ამ ხელობით არჩნდა; ახლა ამბობენ, ცდილობენო დაასვენან, რომ სიკვდილის მიზეზი სხვა სნეულება ყოფილა და არა ჭრილობა.

თ. ა-ქე.

წერილი რედაქტორთან. ბატონო რედაქტორო! თქვენს პატივცემულ გაზეთში (№ 152) წავიკითხე შენიშვნა ჩემი დაჭრილობის შესახებ. უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენ რეპორტერს ვერ გადმოუციათ თქვენთვის სწორე ამბავი. ჩვერ ვახშავდ არა მომღერალი ქალთაგანი არა გვეყოლია დაპატივებული და ჩემ

ძმას ბ. შ — ზოცს არავითარი მონაწილეობა არ მიუღონ ჩვენს ხელში. ამასთან ესეც უნდა შეგახსენებთ: მე რომ რევოლუციური არ ვამერთვა ჩემი კეთილის-მყოფისთვის, უფრო დიდი უბედურობა მოხდებოდა იმ საღამოს, რადგანაც ჩემს გვერდზედ ბევრი ხალხი იდგა და რევოლუციურში კიდევ ოთხი სროლა სხვა იყო.

თქვენი პატივისმცემელი გ. ვარანგოზოვი. თბილისი, 22 ივლისს.

რუსეთი

— რეალურ სასწავლებელში სწავლის პროგრამის შეცვლის საქმე წინ მიდის: ამ ქამად, როგორც სწერს ნოვოვ გრამია, ქალაქების წარმომადგენლებს გაეგზავნათ ყველა იმ ქალაქებში, სადაც კი არის რეალური სასწავლებლები, კითხვა, რომლითაც მოეთხოვებათ მათ გამოაცხადონ თანეთი სურვილი, თუ რა რიგად უნდა შეიცვალოს წესდება, რომ საგნების სწავლა რიგითათ მიდიოდეს ამ სასწავლებელში, ადგილობრივი მოთხოვნილობის-და-გვარად.

პასუხი, რომელიც გაგზავნილი იქნება, შეადგენს საფუძველს იმ კომისიისათვის, რომელიც დანიშნულია სახალხო განათლების სამინისტროში რეალურ სასწავლებლების წესდების შესაცვლელად.

— დიდ სიხარულს და იმედს აცხადებენ ამ ქამად იმაზედ, რომ წლევეანდელი მოსავალი რუსეთში ძრიელ კარგიაო. სხვათა შორის ქ. დანცინგიდამ სწერს კორრესპონდენტი გოფოსს:

„ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთში ისეთი მოსავალი იქნება წელს, როგორც არ ყოფილა ამ უკანასკნელ ღაი წლის განმავლობაში. ამისათვის, იმედია, რომ პურიც ვაჭრობას ფართო ასპარეზი ექმნება წელს რუსეთში“.

— ერთი სამხრეთ რუსეთის რუსული გაზეთი დანსკაია შჩედა სწერს, რომ წელს ზაფხულში გზების მინისტრის თანაშემწეს განზრახვა აქვს რკინის გზების დათვალიერება და, სხვათა შორის, როსტოვიდამ ძაკავში მიმავალი რკინის გზისაო.

— მათე ვაზეთი სწერს, რომ, როგორც აღმოჩნდა სასტიკი გამოძიების შემდეგ, მატარებლის ამ გზიდამ გადავარდნის მიზეზი ყოფილა დამალი შპალები (ნათალი ფიცარი, რომელსედაც დაკრულია რელსები). რკინის გზის მმართველობა სამართალიშია მიცემული და სამინისტრო დღემდის სასტიკ გამოძიებაში არისო.

— „რუსკი კურაფის“ სწერენ პერიკის ლავლიდამ: აქაური უწყსოვება ახლა გადატანილ იქმნა დ. ბორის-პოლში და ბერეზანში; პირველში 30 სახლი მიანგრ-მოანგრის ებრაელებისაო. წესიერების აღსადგენელად სამხედრო კამანდა გახდა საქარო, რომელმაც, დაყვავებით ვერა გააწყო-

წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! თქვენს პატივცემულ გაზეთში (№ 152) წავიკითხე შენიშვნა ჩემი დაჭრილობის შესახებ. უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენ რეპორტერს ვერ გადმოუციათ თქვენთვის სწორე ამბავი. ჩვერ ვახშავდ არა მომღერალი ქალთაგანი არა გვეყოლია დაპატივებული და ჩემ



რა და იარაღი იხმარა, რომლის გამო დაიჭრა ორი და მოიკლა ოთხი კაცი.

— ამავე გაზეთის კორესპონდენტმა სწერს პიტიგორსკიდან, რომ იქ 15 ივლისს, იღვრასწაულეს მეორე მოკლე წელი მ. ლერმონტოვისა. ლეგსასწაული დიდი ამბით გათავდა, მისთვის ძველის ასაგებლად შეგროვდა 2,010 მან. და დასასრულ გაიმართა კონცერტი ამ მიზნითვე თანხის განმრავლებისათვის.

მკითხველს, რასაკვირველია, მოეხსენება, რომ ლერმონტოვი ის ჩინებულითავანი რუსის პოეტია, რომლის ნიჭი ძველკლასის ბუნების მობერვით უფრო განძლიერდა და საუკეთესო მის ნაწერებს დასევა თავისი მედიდურობის და განსაკუთრებული ხასიათის ბეჭედი. ჩვენთვისაც, ქართველებისთვის ძვირი უნდა იყვეს იმ კაცის ხსოვნა, რომელმაც სახსოვრად დაგვტოვა თავის საუკეთესო პიესები: „მწიწი“ და „დეკონა“.

უსხოლოთი

საზრანგეთი. სამინისტრო რჩევა აჩქარებს პალატების ახალ არჩევნას, რადგანაც მომავალს შემოდგომას აპირებენ დიდ ძალი ჯარების სამხედრო მდგომარეობაში დაყენებას, ჩრდილოეთ აფრიკაში აჯანყების მოსახსობლად. საფრანგეთის მთავრობა შიშობს, რომ ჯარების დამზადება და იმავე დროს აღმორჩევები, ცუდ გავლენას იქონიებს ამ უკანასკნელზე.

— ზარიტის გაზეთები სასტიკად ეპყრობიან იმ „შურიანობას“, რომელიც გამოაჩინა ინგლისმა ამ უკანასკნელ დროს შესახებ საფრანგეთის მოქმედებისა თუნისში; ამასაც დაუმატეთ ის, რომ ინგლისელებმა უფრო მომეტებული იციან საფრანგეთის აგრესიების დამოკიდებულება თუნისის პეისთან, ვიდრე თვითონ საფრანგეთმა. მაგალითობრ, ალექსანდრიაში (მკვიბტეში) მყოფ საფრანგეთის კონსულმა, 11 ივნისს, მოიწვია ყველა ამ ქალაქში მცხოვრები ჩაიწერონ თავი საფრანგეთის წარმომადგენელთან, რადგანაც მათი ინტერესები ამის შემდეგ გადადიან საფრანგეთის მფრველობის ქვეშა. ეს გაიგეს ფრანკუზებმა ინგლისის წყაროდამ, „ლუჟურვიგნადამ“ ინგლისის პარლამენტში წარდგენილ ცნობებში. ამ გვარათვე მოხდა ტრიპოლისში, საიდანაც ინგლისის კონსულმა ბიომ აცნობა დეპეშით ლორდ ბრენვილს (უცხო საქმეთა მინისტრი ინგლისში), რომ საფრანგეთის კონსულმა ჟერომ გამოაკრა სახლის კარებზე და ბაზარშიაც არაბულ ენაზე განცხადება, რომლითაც მოიწვეოდა თუნისელები საფრანგეთის წარმომადგენელთან თავიანთ სახელების ჩასაწერათ. შურო ვიან ბეი აცნობებს თავის მთავრობას, რომ ტრიპოლისის ახალი ოსმა-

ლეღმა ლუბერნატორმა უარი სთქვა საფრანგეთის წარმომადგენლის თუნისელებზედ მფარველობის თაობაზედ; ამის თაობაზედ იმან კიდევაც აცნობა სტამბოლში.

ოსმალეთი. სტამბოლიდამ იწერებინა 17 ივლისს, რომ განსვენებული ხონტორის აბდულ-აზიზის მკვლელები, რომელთა რიცხვშიაც ურევია გამოჩენილი მითხად-ფაშა, გუშინ საღამოს სახელმწიფო გემით „თალია“ გაამგზავრეს ხედფეს.

ინგლისი. ლონდონის გაზეთები გვაცნობებენ, რომ ლონდონის პოლიცია ცდილობს შეიტყუას ენაობა და გვარი იმ პირთა, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ამას წინათ გამართულს რევოლიუციონების კონგრესში. ინგლისის მმართველობას განზრახვა აქვს ზოგიერთი მონაწილენი მისცეს პასუხის-გებაში.

თელავის სასულ. სასწავლებლი *

აწ რომ ზვი არ ვაძგო,
კანგი რაგორ უნდა ვაქო?
ზეს თუ ზვი არ გუწოდო,
კანგს სასკლად რა დავაწქო?
დავით გურამიძე.

აქამდის ნათქვამს ერთი საგანიც თუ არ მიუმატეთ, ჩვენს საუბარს, რომელიც უნებლიეთ გავრძელდა, სისრულეს მოაკლებს. ეს საგანი გახლავთ სახელების აშენება თელავის სასულიერო სასწავლებლისთვის. ეს კითხვა ახალი კითხვა არ არის და არც უბრალო კითხვა.

ახალი შენობის შესახებ აღიძრა კითხვა სასწავლებლის მთავრობისაგან 1867 წელს, სასულიერო სასწავლებლის წესდებათა ცვლილების დროდამ. მქსარხოსს მოწერილობა ჰქონდა, რომ ნაჩვენები დროდამ ხუთის წლის განმავლობაში მოემზადებინა სასულიერო სასწავლებლები ისე, რომ მათი სრული ცვლილების შემოდება (1867 წლიდამ მხოლოდ ჯამაგირების მცირე ნაწილი მოემატათ მოსწავლეებს) გადავიღებულყო აღნიშნული ვადის შემდეგ. მაგრამ, ვაი შენს მტერს. ამ ხანებში, სრული გაუგებრობა ჰსუფევდა ახლის წესდების მთელს უწყებაში. სამღვდლოებს ეყურებოდა კერძოდ ხმები რაღაც ცვლილებისა და მათის მოვალეობისა სასწავლებლების შესახებ, ითხოვდნენ კიდევ ექსარხოსიდან ჯეროვანს დარიგებას და ხელმძღვანელობას, მაგრამ ტყუილად მათი თხოვნა რჩებოდა ხმად მლაღადებლად უდაბნოსა შინა.

შეე უნაყოფოდ გაიარა ხუთი წლის ვადამ და სამღვდლოება ისევ უწინდებურად დინჯად უყურებდა სასულიერო სასწავლებლებს. თელავის სასწავლებლის მდგომარეობაც ამ გვარევე იყო. თუმცა ამ ხანებში დაიწყო ქალაქით საუბარი სახელების

აშენების შესახებ. მას განსვენებული მესვეი ყურს არ უგდებდა. სახლების და ეზოს შესახებ სასწავლებელი გამოუტყვევებლ გარემოებაში იყო ჩაყარნილი. სასწავლებლის მთავრობამ არ იცოდა რა ეკუთვნოდა სასწავლებელს მის წინ მდებარე ცალიერი ადგილიდამ, ამას ქალაქი ცალკე ჩემულობდა და კერძო პირები ცალკე; ზედამხედველმა ბ. მინიკოვმა (1867-1871) თუმცა დაიწყო ეს საქმე, მაგრამ ისე გაათავა, რომ სამჯობინარი იქმნებოდა სრულებით ხმა არ ამოვლო. 1871-1875 წლ. თუმცა აღიძრებოდა ხოლმე ეს კითხვა ქამითი-ქამად, მაგრამ უფრო ფორმის გულისთვის და არა საქმის გასაკეთებლად. საკვირველი ის არის, რომ 1871-1875 წლ. განმავლობაში სახლების გაკეთებაზედ კი ლაპარაკობდნენ და იმისთვის ადგილი კი არსად უჩანდათ, რადგან, საქმე ამის შესახებ არაფრით იყო გათავებული. მაშასადამე ვისაც სახლების გაკეთება ეწოდა, იმას ჯერ სახლებისთვის ადგილი უნდა მოეზოებინა. ამ ნაირი ხასიათი მიეცა ამ კითხვას 1875 წლიდამ. თუმცა ამას მრავალი დაბრკოლება დაუხვდა წინ, მაგრამ როგორც იყო ეს კითხვა სასწავლებლისთვის სასარგებლოდ გადასწყდა. სასწავლებლის მთავრობამ თავის უწინდელი ფარლალა ეზო შემოზღუდა ქვით-კირის გაღანით, 1878 წ. დარგო შიგ საჩრდილებლად ხეები და შეუდგა შემდეგ ახალი სახლების აშენების საქმეს. ამისთვის წინაპირველად საჭირო იყო აღება სახლისა და ეზოს გეგმისა და შედგენა გასავლის სქემისა, რომლის გულისთვის მიწერ-მოწერა იყო სასინოდო კანტორასთან მთელი ორი წელაწადი ხუროთ-მოძღვრის (архитекторъ) გამოგზავნის თაობაზედ. ბოლოს როგორც იყო სასწავლებელს ეღირსა მოსვლა ხუროთ-მოძღვრისა ბ. ჩიქოვისა წარსრულს 1880 წელს. შემდეგ ადგილის გასინჯვისა და სასწავლებლის მთავრობის მოსაზრებისა სახლების დანიშნულობის შესახებ, ბ. ჩიქოვიმ აღუთქვა სასწავლებლის მთავრობას გეგმისა და სქემის შედგენა წარსრულის 1880 წლის აგვისტოსთვის, მაგრამ სიტყვით და არა საქმით. ამას სხვა გარემოებაც ზედ დაესართა. აღნიშნულსავე წელს სექტემბერში ალავერდობას მოძრძანდა თელავს თვით ყოვლად-უსამღვდლოესი იოანნიკე. შემდეგ ნახვისა იმ ადგილისა, რომელიც იყო მოსაზრებული ახალი სახლებისთვის, უფარვისად დანიშნა ეს ადგილი, რადგან გორაზედ არის, საიდანაც დაპყურებს მთელ ალაზნის ველს, სთქვა ამ კლდეზედ ამტოლის სახლების გაკეთება საშიშო იქნებოდა და თვით აპარჩივა ადგილი ახლის შენობისთვის და ბრძანა, რომ თვითონვე უბრძანებს ხუროთ-მოძღვარს ამგვარს ადგილის გამოცვლას შენობისთვის ამგვარი რჩევა ყოვლად-სამღვდლოესი დაუბრკოლებლივ მიიღო ხუროთ-მოძღვარმა, მაგრამ, საუბედუროდ,

ჯერ აქამომდე არ აუღიარებულა და არც გასავლის ხელშეწყობა მწელიც არის კაცმა გამოიანგარიშოს, თუ რა დროსთვის იქმნება ესენი მზათ, რადგან სამღვდლოება დიდათ ბრკოლდება მით, რომ არ იცის გადაჭრით, თუ რამდენი დასჭირდება ფული ახლის შენობისთვის და მისთვის საქმეს ვერ შესდგომია ერთგულად.

თვით რევიზორმა ბ. ბრიგორესკიმ ძლიერ მოიწონა ზემორე ნაჩვენები მოსაზრება სახლების შესახებ და კიდევ დაპირდა სასწავლებლის მთავრობას შესაფერს შემწეობას ამ საქმეში. მართლაც იმის შუამდგომლობით, შარშან ყოვლად-სამღვდლო იოანნიკემ მიიღო უწ. სინოდის ობერპროკურორიდამ წინადადება, რომ მან ყოველსაიწი შექმნას მისგეს სასწავლებლის ფლების ფლების სამღვდლოებსა სახლის სასწავლების გაკეთების დროს სასწავლებლისთვის. თუ როგორი შემწეობა მიუცია აქამომდე სამღვდლოებისთვის, მკითხველი მიხედება ზემორე აღწერილიდამ, ხოლო შემდეგ რა შემწეობას მისცემს, ეს ჯერ ღმერთმა უწყის.

შემწეობაზედ ლაპარაკი მაგონებს ერთ კითხვას, რომელიც სრულებით ახალია ჩვენს სასწავლებელთა ცხოვრებაში. მე მაქვს სახეში შემწეობა უწ. სინოდის ფულიდამ ახალი შენობის გაკეთების დროს სასწავლებლისთვის. რომელი წლის ანგარიშიც გნებავთ აიღეთ უწ. სინოდის ობერპროკურორისა და თვითველ მათგანში იხილავთ, რომ უწ. სინოდი დიდძალ შემწეობას აძლევს სხვა-და-სხვა რუსეთის სემინარიებისა და სასწავლებლებისთვის სახლების ასაშენებლად. რადგან ეხლა საქართველოს ეკკლესიის ქონება გადავიდა სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტის უფლებაში, განა არ შეიძლება, რომ ყოვლად-სამღვდლომ ექსარხოსმა ითხოვოს შემწეობა აღნიშნულის წყაროდამ, რადგანაც იმისთანა საგრძობელი ხარჯი სჭირდება სამღვდლოებას, როგორც არის სახლების გაკეთება სასწავლებლისთვის იმავე საბუთით, რა საბუთითაც უწ. სინოდი აძლევს შემწეობას თავის ხაზინიდან აღნიშნულს შემთხვევებში. შევლამ იცის სიღარიბე ჩვენის ეკკლესიისა და უმეტესად სამღვდლოებისა, რომელსაც ამ შემთხვევაში დახმარება უნდა და წახალისება. იტყვიან, ცდა ბედის მონახევეო, რატომ ყოვლად-სამღვდლო ექსარხოსმა არ უნდა სთხოვოს ამისთანა გაჭირებულ დროში, როგორც არის ეხლანდელი მატერიალური შემწეობა ვისიც ჯერია საქართველოს და რუსეთის ინტერესები ერთი და იგივე უნდა იყენენ, რადგანაც განსაკუთრებით შეეხება საქმე განათლების გავრცელებას ჩვენში. მაგრამ ამას უნდა გაგება ჯერ სახელმწიფო ეკონომიური საქმეებისა, შემდეგ გამბედაობა, ხალისი, სიკეთის მოტანის სურვილი, და თუ ესენი საქმოდ იქმნა მთელი წოდების წარ-

*) ის. „დროება“ № 152.

მომადგენელში, დარწმუნებულნი უნდა ვიყენეთ, რომ თხოვნა უნაყოფოდ არ ჩაივლიდა. მაგრამ საიღამ მოვიტანოთ ზემოთ ნაჩვენები თვისებანი ჩვენი ეკკლესიის წარმომადგენელში? საუბედუროდ თვით სამღვდლოებაც გონებით ისე დაცემულია, რომ ამისთანა მოსაზრება და თხოვნა იქმნება წინააღმდეგობათაც ჩათვალონ. მაშ ვისხდეთ გულ-ხელდაკრეფილი და ველოდეთ ცილამ მანანას.

ამდგომლობათა მოკეთე.

განსხვავებანი

პრის გასასყიდი მძვნი ათასი ფუთი წარმადელი მოტიოზული თივა. მსურველს შეუძლიან მიაკცივოს კნიაზ ალექსანდრე წულუკიძისთან ქ. ზორში. (3—1)

სოფ. ანოკში, თბილისის უბედში იყიდება გაკეთებულ ღვინის დიდი და პატარა ქვევრები-ვიდრე ორას ვედრიანამდინა; აგრეთვე მიიღება ზაკაზი რა ზომისაც საჭირო იქნება. აღრესი: ჰავლაბარში, 13 უჩისტკაში, საკუთარს სახლში № 14. ალექსი მრისტიშვილისთან ჩიქოვანი. (3—2)

კანტორა

რუხადის და კაკაბადისა

მაცნობებთ პატივ-ცემულ საზოგადოებას, რომ 1880 წლის ნოემბრის 20 დღიდან გაღებულ ჩვენ მიერ მ. ფოტოს პამფისიონი კანტორაში ლუკა რუხადის მალაზიაშიდევ ვლდებულობთ შრომას მსურველის მოთხოვნისაგან უფრე ვეარ საქონლის გაგზავნა-გამოგზავნის, ყიდვის და გაყიდვისა ნაკლები კამისით.

ამისიის საქმეებს აწარმოებს მოსამდინარე კაპაბადი, რომლისგანაც მსურველს შეუძლია ყოველი ანგარიშის შეტყობა. (3—2) ლ. რუსაძე.

ახლად მიღებული

ინგლისის მალაზიაშია დიდ ძალი ჩი პირველი მოკრეფისა. 30% უფრო უკეთესი ვიდრე სადმე სხვაგან. იქვე ისყიდება: პარუსინა არშ. 40 კა. სტაქნები და ბაკლები 10 კა., პანოსები 5 კა. მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (25—2)

გამაგნებელი კასიდან

ბრიგოლ ბარამოვისა და კომპ., ქუთაისში ამით ცხადდებიან, რომელ ორშაფათს 10-ს აგვისტოს ამა წლის დიდის 10 საათიდან, განისყიდება ამა კასის წინ, ქადაქის აუციონისტების ხელით ის გირაოები, რომელნიც არ დაუსხნათ კასიდან გადის ორის თვის ალგოტის შემდეგ: ოქროსი, ვერცხლისა ბრლიანტისა და სხვა ნივთები. (7—3)

ლონდონის მალაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაწესებულია ნამდვილი ჩი-გასასყიდლად პირველი მოკრეფისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებ: თოფებისა, რევოლვერებისა, გლიტებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, ვოვებისა, ჩაისიკებისა, შოკოლადისა, კაკოსი, დუხებისა, სპონისა, შიშა კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქადადისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნგრებისა, სუკრისისა (გემოილი კლეშინინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსახურებას გასასყიდლად განფუტების და ბატკონის და კამპ. მურებისა, აგრეთვე ჩუქებისა და წინდებისა ნოტინგამიდან. ნამდვილი ჰაგინას გარბები. (100—99)

ინგლისის მალაზიაში

ანგლისის მალაზიაში (Maison de confiance)

შეადრეთ ხვენი ჩი ჩაის ყველაზე
— — 1 მ. 10 კაბ. — 1 მ. 40 კაბ.
— — 1 „ 20 „ — 1 „ 60 კაბ.
— — 1 „ 40 „ — 1 „ 90 კაბ.
— — 1 „ 60 „ — 2 „ 20 კაბ.
— — 1 „ 80 „ — 2 „ 50 კაბ.
საუკეთესო 2 მანეთ. — 3 მანეთ.
ჩაისი წონა—უქადადდა, სხვაგან გიქადადით. (100—18)

ინგლისის მალაზიაში

მოსახურავი 4 მანეთ., ნასოსები 1 მ., დასაგეც სკაპები 2 მ., სკამისანი ჯოხი 4 მ., კრავატისანი კრესლო 10 მ. დაწვეული, ფილტრები 4 მ., ქინძისთავების შესანასავი 50 კაბ., სრუსტალის ჩაის სტაქნები 25 კაბ. და 30 კაბ., ლუბიოშკები და ჰასტილა თამბაქოს მხმარებლებისათვის 60 კაბ. ინგლისური ვანები და სხვა. (20—19)

ბრიტანოვის წიგნის მალაზიაში (ბალის პირ-და-პირ) და ბ-ნი იონანი-სიანთან (ოკრუტის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატურა — — — 10 კ.

გამოვიდა და ისყიდება ცენტრალ-წიგნის მალაზიაში ბუფარზე და გრიტოვის მალაზიაში ვუკის ჩი-დის ურზე, ბალის პირდაპირ:

ალექსანდრე ჰავჭავაძის ლექსები ნაწილი პირველი. ფასი მძვნი შაური. იქვე ისყიდება:

ლექსნი ნიკ. ბრათაშვილისა. ფასი ერთი აბაზი.
ანტონოვის თხზულებანი. ფასი ერთი მანეთი.
მართული ანდაზები. ფასი ორი შაური.
მეფე ლირი, ტრაველია შექსპირისა, თარგმნილი ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძისა. ფასი სამი აბაზი.
ბრიგოლ ორბელიანის ლექსები. ფასი ექვსი შაური.
ღვთიანი (ბურამიანი), თქმული ღვთი ბურამის შვილისა. ფასი ერთი მანეთი.
ტაია-ადამიანი, მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა. ფასი ორი აბაზი. (5—5)

ლონდონის მალაზია

შრენის მოედანზე № 2, კომერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა პიანტის და ჩინეთის პირველი მოწვევის ჩაის გასასყიდლად და ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა,

სა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფორდოსი) კრავატების, დანა-ჩანთების, საჩაიე, კიქების, შოკოლადის, კაკოსი, გემოილი სუკრის ერბო, სასურნებლის. საპონის, ცხვირ-სახოცების, შიოთკი წინდების, ჩუქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—99)

მიუხედავად იმისა, რომ ბაყი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევე იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კრავატ-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინისი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.; მშვენიერი ვანისი 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრეულ კარგი ჩი 2 მ. გირვანქა უქადადით.

ინგლისური რევოლვერ ჩი 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. ინგლისის მალაზიაში. სააგენტო ბანსის უნგრების გასასყიდლად, ჯონსის კლიტებისა, შოკოლადისა და კესტრატისა კაკო ფრანის რომელთაც დაიმსახურეს შარისის მსოფლიო გამოფენასზე ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ღამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სუფ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდას ბლომთ ინგლისის მალაზიაში. მოელი კოსტიუმი 15 მ. ხველების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—81)

ინგლისის მალაზიაში

თხილანი
სუფანი
გამ-მან-ტმრი



ამგვრებს თმას და ადრინდელ ფერს ამღვებს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაბ.
აქვე ისყიდება ქინის ზომად თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხატკები თვის ტკვილის მოსახურებლად, ტკვილის საზინა, დუხები და სხვ (100—5)

მოსახურავი 4 მანეთად, ნასოსები 1 მან., დასაგეც სკაპები 2 მან., სკამისანი ჯოხი 4 მან., კრავატისანი კრესლო 10 მან. დაწვეული, ფილტრები 4 მან. ქინძისთავების შესანასავი 50 კაბ., სრუსტალის ჩაის სტაქნები 30 კაბ. თითო, ინგლისური ვანები და სხვ. ინგლისის მალაზიაში.

10,000 რწვილი ქაღის წინდები 25 კაბ. დაწვეული 75 კაბ.-დისინ, 10,000 რწვი. კარის წინდები 35 კაბ. 1 მან.-დისინ, 7,000 ჰანდოსები 5 კაბ.—5 მან.-დისინ., 1,000 კრავატები 5—35 მან.-დისინ, 400 აშმინი ბომბეი 1 მ.—1 მან. და 30 კაბ.-დისინ, 800 აშმ. ჰანდოსინა 40 კაბ.—1 მ.-დისინ, 300 რევოლვერი 4 მ.—35 მ.-დისინ, 200 ალბომი ნასეკარ ფასად. 10,000 გირვანქა მშვენიერი ჩი თავის ჩაინიკებით 1 მ.—65 კაბ., რკინის კალმები ყველა გარ ხელისათვის. (15—15)

ამერიკელი კბილის ექიმი დოქტორი ი. ა. პალტერი

რომელიც დადის მთავრის ღუნაის—იქით არმიის მთავრისა განკარგულებით დანიშნული ვიყავი კბილის ავთომყოფობის პონსულტანტათ და მივიღე ორი წარჩინებული დამლაშვი, მოგსულვარ თბილისში და ვიღებ კბილით ავთომყოფობს კბილების ჩასასმელად რბილ საგებზე, უპრიინოთ, რომელსაც არა ვრაცხ გამოსადეგრათ ვინაიდან პრუტინა უშლის რიგინათ საქმლის დაღეჭვას.

ჩემი ექიმობის მეტოდას ხმარობენ კბილის ექიმები მთელ რუსეთში მარტო პეტერბურგში, და მასკოვში და არა სადმე პროვინციაში, არაის ვურჩევ იხმარონ ჩანგლებიანი კბილები, მისთვის რომ ჩანგლები და კავშირები სცევათ ვენ კბილებს, რაიცა უეჭველია, შენიშნული ექნებათ იმათ, ვისაც ისინი უნებარია.

კბილების მოგლეჯას არ ვურჩევ, ამისთვის რომ კბილების მოგლეჯა, აუ გინდ ერთისაც, ცუდათ მოქმედობს სხვა კბილებზე. ამისთვის სჯობს კბილის ოქროსი, პლატინისი ანუ მილანქის პლომბით გაკეთება; მაქვს ახალი ჩემგან მოგონილი საშუალება რომლითაც შეიძლება დაიცვას კბილები წახდენისაგან და ტკივილისაგანაც. ეს საშუალება არის დამტკიცებული მედიცინის დეპარტამენტისაგან.

ნიმუშები: ახლად აღმოჩენილი შეზავებულ კბილებისა და პლომბის-როგვები შეუძლიანთ ნახონ ჩემს კაბინეტში. შოველს საქმეს, შეჩანებ კბილების ავთომყოფობისა, ვასრულებ 24 საათში:

მიღებ ავთომყოფობს დილის ათი საათიდან საღამოს ექვს საათამდინ. მსცხოვრებ ბალაენსკის პროსპექტზე, შოვეის სახლებში, საცა იმყოფება მესტლის ფოტოგრაფია ბ. მარხოვეის სახლში, საცა იყო კარტინის ვისტავა. შესავალი ბალაენსკის პროსპექტიდან. (5—2)